

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

10.01.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გიორგი ოდოშაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:

ნათია სამუშია - პრორექტორი;

ირინა პოპიაშვილი - დეკანი;

რევაზ ხოფერია - ხარისხის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი:

მარინე იოსელიანი - რექტორი;

ნინო დოლიძე - საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი;

ეკატერინე შაკიაშვილი - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მამუკა არეშიძე - რეგიონული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ნოდარ პაპუკაშვილი - რექტორი;

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის სამსახურის უფროსი;

ნანა ჯანაშია - ადმინისტრაციის უფროსი;

ნანა მდინარაძე - მედიცინის სკოლის საბჭოს წევრი.

შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი

სოფიო სუხიშვილი - რექტორი;

მაია ადვამე - დაწესებულების კონსულტანტი;

ლევან მოსახლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ივანე ბალახაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ნიკოლოზ შავიშვილი;

ნანა იაშვილი;

ირაკლი მანველიძე;

ნიკოლოზ ყაველაშვილი;

ოლეგ კაკუშაძე;

ერეკლე ასტახიშვილი;

თინათინ გაბრიჩიძე;

ივანე აბიათარი;

რუდიკო რუსია;

ირაკლი გაგუა;

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:45 საათზე

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
 2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
 3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
 4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავკასიამცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
 5. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
 6. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქიტექტურის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრებმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა და თეო ურუშაძემ იკითხეს ხომ არ ჰქონდათ თვითაცილების გაცხადების საფუძველი, რადგან ისინი აგრარულ უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტები სხვადასხვა იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ, სამართლებრივად საბჭოს წევრების თვითაცილების საფუძველი არ არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტს

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით ექსპერტთა შეფასება სრულიად დადებითი იყო, თუმცა, მასში არსებობდა რამდენიმე შეკითხვა, რასაც დაწესებულებამ არგუმენტირებული პასუხი უკვე გასცა.

შეკითხვები ეხებოდა პროგრამის განვითარებას იმ დაშვებით, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო ამერიკელი და როგორ მოხდებოდა ამერიკიდან დისტანციურად გაძღოლა, რაზეც დაწესებულებამ გასცა ექსპერტებს არგუმენტირებული პასუხი იმის შესახებ, რომ პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში იგი ჩამოვიდოდა და იმუშავებდა საქართველოში, რაც ვიზიტის დროს მასთან სკაიპში საუბრით დადასტურდა.

გარდა ამისა, ექსპერტის განცხადებით, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მუდმივად იქნებოდა მეორე სპეციალისტი საქართველოში, რომელიც ამერიკელი ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში დააბალანსებდა ამ უკანასკნელის არყოფნას.

ექსპერტების რჩევის ნაწილს ასევე წარმოადგენდა ინგლისური ლიტერატურის დამლევის საკითხი. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო მასალაში შეტანილი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ტოვებდა ეჭვს, რომ ყველა სტუდენტს მისი დამლევა გაუჭირდებოდა.

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტი აპირებდა დაახლოებით 10-15 სტუდენტის მიღებას და სტატისტიკურად, უნივერსიტეტის გამოთვლით 93% შეძლებდა შემოთავაზებული ლიტერატურის დამლევას, ხოლო 7% შესაძლო იყო გასჭირვებოდა აღნიშნული.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის შედეგად ცხადი გახდა, რომ ისინი ეთანხმებოდნენ ამ ვარაუდს, ასევე უნივერსიტეტის თქმით, ყველა სტუდენტი შეისწავლიდა უცხოურ ენას, რაც დაეხმარებათ მათ სხვადასხვა სახელმძღვანელოების დამლევაში.

გარდა ამისა, ექსპერტების თქმით, უნივერსიტეტი აპირებდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნას სხვადასხვა სახელმძღვანელოს კომბინაციების საფუძველზე, რაც დადებით ფაქტორს წარმადგენდა და მთლიანად ჭრიდა პრობლემას სამომავლო პერსპექტივაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად მოთხოვნადი იყო არქიტექტურის პროგრამა საქართველოში. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ დღესდღეობით საქართველოში არსებობდა 17 აკრედიტირებული პროგრამა მოცემულ დარგში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა, რატომ არ იქმნებოდა ქართული ლიტერატურა აღნიშნულ დარგში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში პროგრამები აღნიშნულ დარგში საკმაოდ ბევრი იყო. ექსპერტის განცხადებით მაღალი კურსის სტუდენტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწავლობდნენ ერთი და იგივე სახელმძღვანელოთი, რაც სრულიად სამწუხარო ფაქტს წარმოადგენდა. ასევე, მისი თქმით, თავისუფალი უნივერსიტეტის მცდელობა შეექმნათ ახალი სახელმძღვანელოები, აუცილებლად იქნებოდა განხორციელებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იღებდა თუ არა აკადემიური პერსონალი პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობას. ასევე, ირაკლი ბურდულმა იკითხა, როგორი იყო თანაფარდობა პროგრამაში აკადემიური და მოწვეული ლექტორებისა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა რამდენიმეწლიანი გამოცდილება ვიზუალისა და დიზაინის სკოლაში და ამ გამოცდილებას ისინი სრულიად გაუზიარებდნენ ახალ პროგრამას, როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ კონტექსტში. ასევე, მისი აღნიშვნით, დასაწყისში სტუდენტების მიღება იქნებოდა მცირე და არსებული აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის რექტორ ლეჟავასთან და ამერიკელ ხელმძღვანელთან ერთად შეძლებდნენ სრულად გაძღოლას აღნიშნული რაოდენობის სტუდენტებისა.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მის მიერ დათვლილ 14 კურსში ჩართული იყო მხოლოდ 3 პიროვნება. რომელთაგან ორი გარდა აკადემიური საქმიანობის პარალელურად სხვა საქმიანობითაც არიან დაკავებული აქტიურად, რაც ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ დატვირთვა ხსენებულ სამ ადამიანზე რაოდენობრივად ბევრი მოვიდოდა.

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით, პირველი და მეორე წელს არსებული პერსონალი სრულიად დამლევდა პროგრამის მუშაობას, ხოლო შემდეგ წლებში მათ ეს გაუჭირდებოდათ და საჭირო გახდებოდა პერსონალის და რესურსების დამატება.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის დადებით მხარეს ასევე წარმოადგენდა ის საკითხი, რომ იგი იყო სრულიად ორიგინალური, რაც მის სტუდიური სწავლების მეთოდებში გამოიხატებოდა. მისი თქმით, აღნიშნული საქართველოში იშვიათობას წარმოადგენდა. ასევე, უნივერსიტეტს გააჩნდა ცალკე შენობა და სტუდიები, სადაც სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკული მუშაობის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით პროგრამის პრიორიტეტი მდგომარეობდა მის ინტერნაციონალიზაციის ხარისხში, ვინაიდან მისი შემუშავების დროს შესწავლილ იქნა სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების, ანალოგიური სილაბუსები და საბოლოო ჯამში შემუშავდა პროგრამა, რომელიც საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებს მაქსიმალურად უპასუხებდა.

ინტერნაციონალიზაციის ხარისხის მეორე ფაქტორი გამოიხატებოდა პროგრამის უცხოელ ხელმძღვანელთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ

კონკრეტული პიროვნება, არათუ მხოლოდ ხელმძღვანელობდა პროგრამას, იგი თანაავტორიც გახლდათ და მნიშვნელოვანი იყო მისი გამოცდილების გაზიარება, რადგან იგი იყო უპინქტონის უნივერსიტეტის პროფესორი.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტს პროგრამის სტუდიური სწავლების დადებით ფაქტორთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებოდათ არა მხოლოდ თეორიულად არამედ პრაქტიკულად ემუშავათ სტუდიაში. ასევე, მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ სტუდიური მუშაობის დროს სტუდენტებს დაეხმარებოდათ 2 ლექტორი, ერთი თავად პროგრამის ხელმძღვანელი და მეორე, ქართულენოვანი პროფესორი, რაც გაუადვილებდათ მათ მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა, პროგრამის მოთხოვნადობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მათ ჩაატარეს შრომითი ბაზრის კვლევა და დაადგინეს, რომ არქიტექტურის დარგის მოთხოვნადობა ქვეყანაში გაზრდილი იყო და ბრუნვა, ხელფასები, მოთხოვნადობა 3.5-ჯერ აღემატებოდა წარსულ მონაცემებს. მან დაამატა, რომ თუ 2010 წელს საშუალოდ არქიტექტორის ხელფასი შეადგენდა 700 ლარს, 2017 წელს ეს რიცხვი 2000 ლარამდე გაიზარდა, რაც ხაზს უსვამდა არქიტექტორების მოთხოვნადობის ტენდენციას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ასევე დამსაქმებელი, რაც პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენდა, რადგან დამსაქმებელ არქიტექტორებმა უკეთ იცოდნენ, როგორი კადრი სჭირდებოდათ.

ამის შემდეგ დაწესებულების წარმომადგენელი უშუალოდ შეეხო რეკომენდაციების ნაწილს და საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მაგალითად კონკრეტული კურსი „არქიტექტორული აზროვნება“ იყო ერთ-ერთი წამყვანი საგანი აღნიშნულ პროგრამაში. მოცემული კურსის დატვირთვა გამოდიოდა 14 საათი 2 საათში, რაც სავსებით დამლევადი იყო ლექტორისთვის დამლევადობის მხრივ.

საბჭოს წევრმა ნატო გენგიურმა იკითხა, მოასწრებდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები ქართული ლიტერატურის შექმნას/თარგმნას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭებოდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლების პირველ სემესტრში არც ერთი ქართულენოვანი ლიტერატურა არ იყო სტუდენტებისთვის შეთავაზებული, შესაბამისად აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში აღნიშნული საკითხი პრობლემას არ წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა წამგებიანი იყო უნივერსიტეტისთვის, მაშინ როდესაც მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის წლიური ხელფასი იყო საკმაოდ დიდი მოცულობის. იგი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა პროგრამის დაფინანსება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი არ იყო ორიენტირებული ფინანსურ სარგებელზე და ისინი ინვესტიციას დებდნენ კონკრეტულ პროგრამაში სხვა პროგრამების ხარჯზე.

გიორგი ქვარცხავამ განაცხადა რომ ისეთ კურსებს, როგორიცაა ტექნიკური მექანიკა, სამშენებლო ტექნოლოგიები დაშვების წინაპირობა არ გააჩნდა, რაც მისი აზრით, არ იყო სწორი.

საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ იკითხა, ფლობდნენ თუ არა სტუდენტები იმ ცოდნას და უნარებს, რომელთა ფლობაც კონკრეტულ საგნებზე ჩარიცხვა-სწავლებისთვის აუცილებელი იყო, რადგან მისი აღნიშვნით, რამდენიმე კურსს პრე-რეკვიზიტი არ გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ეს იყო პროფესიული პრაქტიკის ნაწილი და განპირობებული იყო ორი ფაქტორით. 1) აღნიშნული ინსტრუმენტები სილაბუსებში იყო გაწერილი დაშვების წინაპირობად 2) ყველა სტუდენტს ჰქონდა საორიენტაციო პერიოდი, როდესაც ყველა სტუდენტი ვალდებულია გაიაროს მათთვის აუცილებელი კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ 16:58 საათზე სხდომაზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

აქვე, საბჭომ ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს გაეთვალისწინებინათ ის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა: საკონსულტაციო ცხრილს, უცხოენის კომპონენტს, სილაბუსებში ლიტერატურის მითითებას აკადემიური სტანდარტის მიხედვით, ძირითადი კურსებისთვის აკადემიური პერსონალის დამატების საკითხს.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საბაკალავრო მმართველობაში	პროგრამა	საჯარო
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი		
სწავლების ენა	ქართული		
კრედიტების რაოდენობა	240		

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრს, გიორგი თურქიას ჰქონდა თვითაცილება, ვინაიდან იგი დაწესებულების თანამშრომელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ დასკვნა მოცემული პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნა რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის შინაარსის და სასწავლო კურსების სწავლების მეთოდებთან მიმართებით სასურველი იქნებოდა არსებული გადაფარვების აღმოფხვრა. მაგ., სასწავლო კურსში - სამართლის საფუძვლები მესამე კვირაში ისწავლებოდა „სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები. სამოქალაქო საზოგადოება. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო“, ხოლო სასწავლო კურსში - საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები მე-3 კვირაში ასევე ისწავლებოდა „სახელმწიფოს ცნება, მისი ძირითადი ნიშნები. სახელმწიფო ორგანოთა სახეები“; ასევე სასწავლო კურსში „მმართველობის ფორმები და თეორიები“ ზოგიერთ თემაში მოცემული იყო ჟან ჟაკ რუსოს, ნიკოლ მაკიაველის, მაქს ვებერის, პლატონის შეხედულებები, რასაც ასევე განიხილავდა სასწავლო კურსის „პოლიტიკის ფილოსოფიის“ ზოგიერთი საკითხი. მსგავს საკითხებს ასევე იმეორებდა სასწავლო კურსის „საჯარო მმართველობის შესავალის“ საკითხები, მაგ. მე-3 კვირა.

ექსპერტთა შეფასებით სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსში „საჯარო მმართველობის შესავალი“, თემა - საჯარო მმართველობის არსი და განმარტება სტუდენტებს ესწავლათ არა მე-12 კვირაში, არამედ პირველ კვირაში.

ასევე აღნიშნულ სილაბუსში სასურველი იქნებოდა თუ პირველიდან მეთერთმეტე კვირის ჩათვლით არსებული თემატიკა განახლდებოდა, ვინაიდან მოიცავდა სხვადასხვა სასწავლო კურსებში (მაგ., სასწავლო კურსები მმართველობის ფორმები და თეორიები, შესავალი სამართალმცოდნეობაში) მოცემულ თემებს. საჯარო მმართველობის პროგრამა წარმოადგენდა მიმართულებათაშორის დარგს და სასურველი იყო, დაცული ყოფილიყო ინტერდისციპლინარულობის პრინციპი, რაც მოითხოვდა პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, საჯარო მართვის, პროფესიული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსების ბლოკისთვის თანაბარი/შესაბამისი მოცულობის კრედიტების დათმობას. მაგ. სამართლის სასწავლო კურსებს ნაკლები კრედიტები ჰქონდა დათმობილი.

გარდა ამისა, სასურველი იყო გაზრდილიყო კრედიტების მოცულობა და დამატებოდა ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა ადმინისტრაციული სამართალი, სამოხელეო სამართალი და ა.შ.

ასევე, პროგრამის ინტერდისციპლინარულობიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა ზოგიერთი სასწავლო კომპონენტის გადაჯგუფება. მაგ., სპეციალობის ისეთი საბაზისო და მაპროფილებელი სასწავლო კურსი, როგორიცაა „საჯარო მმართველობის შესავალი“ შეისწავლება სწავლების მეოთხე სემესტრიდან, არადა აღნიშნული სასწავლო კურსი რომელიც მოიცავდა პოლიტიკის, ეკონომიკის, მართვის, სამართლის მნიშვნელოვან საკითხებს პირველ ან მეორე სემესტრში უნდა შესწავლილიყო რათა სტუდენტს წარმოედგენა შექმნოდა ზოგადად არამარტო სპეციალობაზე, არამედ პროგრამის ინტერდისციპლინარულობაზე.

ამავე დროს სასწავლო კურსის საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სასურველი იყო სტუდენტს შეესწავლა არა სწავლების მეექვსე სემესტრში არამედ უფრო ადრე, მაგ., მეორე ან მესამე სემესტრში, ხოლო ამის შემდეგ როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული პროგრამას სასურველია დამატებოდა სასწავლო კურსები „ადმინისტრაციული სამართალი“, „სამოხელეო სამართალი“ და ა.შ.

აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა პროგრამაში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის პროფესიული სასწავლო პრაქტიკის ჩართვა, ასევე სასწავლო კურსების პრეზენტაციის უნარების, საჯარო გამოსვლის ტექნიკის და ა.შ. დამატება.

აუცილებელი იყო მომხდარიყო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაწილეობის მექანიზმის ფორმალიზება და დოკუმენტურად დადასტურება.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში მკაფიოდ გაწერილიყო სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, მომხდარიყო საკონსულტაციო საათების, დროის და ზუსტი ლოკაციის (აუდიტორია) დაზუსტება. საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაცია გარდა სილაბუსისა, ასევე უნდა განთავსებულიყო სკოლის საინფორმაციო დაფებზეც.

აუცილებლობას წარმოადგენდა სასწავლო კურსებში ასახულიყო ახალი გამოცემები. მაგ. საჯარო მმართველობის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა „შესავალი სამართალმცოდნეობაში, გამოცემული იყო 2009 წელს, მაშინ როცა არსებობდა სახელმძღვანელო საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც გამოცემული იყო 2016 წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა შესაძლებლობა დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების განცხადებით კურიკულუმში სამართლის ბლოკის გასაძლიერებლად VI სემესტრში დაემატებოდა „ადმინისტრაციული სამართლის“ კურსი. გარდა ამისა, მაპროფილებელი კურსის საგნებს დაემატებოდა „პრეზენტაციის უნარები“. ასევე საგნების სემესტრული სწავლება შეიცვლებოდა და მაგალითად „მმართველობის ფორმები და თეორიები“ გადავიდოდა მე-3 სემესტრიდან მე-4 სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა რეკომენდაციების დიდი ნაწილი გათვალისწინებული და გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა იმ დასკვნის საფუძველზე, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა და წარედგინა საბჭოს, შესაბამისად კორექტირებები და პროგრამაში შეტანილი ცვლილებები ვერ გახდებოდა პროგრამისთვის დადებითი ან უარყოფილი გადაწყვეტილების მინიჭების საფუძველი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულების მიხედვით, საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ.

გარდა ამისა საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული დაინტერესდა რამდენიმე საკითხით.

1) მისი აზრით პროგრამაში ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი სამართლის კომპონენტი და მისთვის წარმოუდგენელი იყო პროგრამას ჰყოლოდა ისეთი კურსდამთავრებული, რომელსაც გავლილი არ ექნებოდა ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები და პრინციპები.

2) ირაკლი ბურდულის შენიშვნით, პროგრამაში არსებობს პიროვნება, რომელიც რამდენიმე განსხვავებული ხასიათისა და შინაარსის კურსს კითხულობს. მისი თქმით აღნიშნული პიროვნების დოკუმენტურად დადასტურებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით, არ იყო მისაღები.

3) საბჭოს თავმჯდომარემ დაასახელა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამები, მაგალითად კანბერას უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების, გერმანიისა და ჰოლანდიის უნივერსიტეტების საჯარო ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამები, სადაც სამართლის კომპონენტი წარმოდგენდა უმნიშვნელოვანეს კომპონენტს და მან ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ გაეძლიერებინათ აღნიშნული კომპონენტი.

4) მისი თქმით, საჯარო მმართველობა ძირითადად მოიცავდა სამ სეგმენტს: სამართალს, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებს და ეკონომიკას. მისი აზრით აღნიშნული პროგრამა ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ ამ სამ სეგმენტს არ აერთიანებდა.

5) საბჭოს თავმჯდომარის თქმით ეთიკა იყო ის რაზედაც აგებული უნდა ყოფილიყო საჯარო მოხელის ქმედების მასშტაბი, რაც პროგრამას სწავლების სტრუქტურაში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული.

6) საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში არსებულ სილაბუსებში არსებობს როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი შეცდომები, რაც არ იყო მიზანშეწონილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა ირაკლი ბურდულის შენიშვნას სამართლის კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყო ორი საგნის სწავლება, რომელიც სამართლის კომპონენტს აკმაყოფილებდა, ესენი იყო: „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“ და „ადმინისტრაციული სამართალი“, რომლებსაც კითხულობდა ლევან კოკაია და ასევე „შესავალი საერთაშორისო სამართალში“, რომელსაც კითხულობდა დავით ჯანდიერი.

გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ცალკეული სამართლებრივი აქტები ისწავლებოდა სხვადასხვა კურსებში, რასაც სილაბუსებიც ადასტურებდა. იგივე ეხებოდა ეთიკის თემასაც. კურსში „საჯარო მმართველობის შესავალი“ ისწავლებოდა, როგორც სამართლის კომპონენტები, ასევე იგი შეიცავდა ეთიკის საკითხებსაც.

პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლევან კოკაია სრულად აკმაყოფილებდა რეგულირებული პროფესიის მოთხოვნებს. მას ჰქონდა რაოდენობრივად ბევრი პუბლიკაცია და იგი საკმაოდ გამოცდილი იყო ამ სფეროში და მათ არ ჰქონდათ საფუძველი ეჭვი შეეტანათ აღნიშნული ლექტორის კომპეტენციაში.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან საჯარო მმართველობა საქართველოში დიდი ხნის დამკვიდრებული პროფესია არ არის, რთული იყო ისეთი პერსონალის მოძებნა, რომელსაც განათლების პირველადი საფეხურის ხარისხი ჰქონდა

საჯარო მმართველობაში. ამის დასტურად მან მოიყვანა საკუთარი მაგალითი, როდესაც მისი პირველადი პროფესია იყო კლასიკური ფილოლოგია, მაგრამ სადოქტორო შრომა უკავშირდებოდა საჯარო მართვას. მის ამ სფეროში საქმიანობის ხარისხს კი ადასტურებდა საერთაშორისო პუბლიკაციები და კონფერენციები.

რაც შეეხება მოწვეულ ლექტორებს, მათი პროგრამაში არსებობა წარმოადგენდა ძალიან დიდ პლუსს, რადგან ისინი იყვნენ პრაქტიკოსები და საჯარო მმართველობაში პრაქტიკოსი ლექტორების არსებობა საშუალებას აძლევდა სტუდენტებს მიეღოთ ძალიან დიდი განათლება გამოცდილების გაზიარების ხარჯზე.

საბჭოს წევრის ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით, აუცილებელი იყო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის ჩართვა, რაც განავითარებდა სტუდენტების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც დაწესებულების თქმით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საჯარო მმართველობის კურსდამთავრებულისთვის. საბჭოს წევრის განცხადებით, სტუდენტებს გაუჭირდებოდათ ამ კომპონენტის აღქმა, თუ იგი გარკვეული სახით არ იქნებოდა ჩაწერილი პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი საჯარო სექტორზე გახდა დამოკიდებული პრაქტიკის მხრივ, რადგან საჯარო სექტორი აცხადებდა სტაჟირებას და პრაქტიკული კომპონენტის გაწერა სილაბუსშიც ამიტომ იყო შეუძლებელი, რადგან მათ აღნიშნული სტაჟირებების შესახებ წინასწარ არ იცოდნენ.

ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა პრაქტიკისა და სწავლის ურთიერთთავსებადობა. რა ხდებოდა მაშინ, თუ სტუდენტის სტაჟირება სასწავლო პროცესს ემთხვეოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პრაქტიკის გავლის შემთხვევაში უნივერსიტეტი ხელს შეუწყობდა სტუდენტს და დღის მეორე ნახევარში შესთავაზებდა სასწავლო კურსებს.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული დაინტერესდა, იყო თუ არა ბაკალავრიატის საფეხურზეც სწავლება სადამოს საათებში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სწავლების მესამე და მეოთხე კურსიდან კურსები სადამოს საათებში იყო შეთავაზებული სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ახერხებდნენ თუ არა აღნიშნულს სტუდენტები, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მოცემული აღნიშნული პრაქტიკა იყო და საკმაოდ წარმატებულიც, რაც დაწესებულების სხვა პროგრამების გამოცდილებით დასტურდებოდა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ პროგრამაში ეთიკის სწავლების არარსებობა პროგრამის სისუსტეს წარმოადგენდა, რადგან საჯარო მოხელისთვის ეთიკა და მისი პრინციპების მნიშვნელოვანი იყო და მისი სწავლება პროგრამაში სერიოზულ დონეზე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი და არა სხვადასხვა კურსებში ჩაშლის სახით.

ასევე, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ საჯარო მმართველობის პროგრამაში აუცილებელი იყო სოციალური პოლიტიკის კურსის დამატება, რაც თავის თავში მოიცავდა ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დახმარების, დასაქმების და ა.შ სფეროების სწავლებას. მისი აზრით აღნიშნულის პროგრამაში არსებობა აუცილებელია, რადგან მნიშვნელოვნად სწორედ სოციალური პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის იქმნება სახელმწიფო მმართველობა. მისი თქმით, პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში იყო სოციალური პოლიტიკის მაგალითები მაგალითად „მინდობით აღზრდა და რეინტეგრაცია“, მაგრამ ეს იყო ცოტაა იმისათვის, რომ სტუდენტებმა უკეთ გააცნობიერონ, რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას.

ნათელა სახოკიამ ასევე აღნიშნა, რომ საჯარო მოხელისთვის აუცილებელია კარგად იცოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები, რადგან საჯარო მოხელეს უნდა შეეძლოს საზოგადოებას გააგებინოს სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკის არსი და მისი განცხადებით, ამ კურსის პროგრამაში წარმოდგენა ასევე მნიშვნელოვანია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში იყო შეტანილი საგანი „სოციალური პოლიტიკა“, რაზეც ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ პროგრამაში არ არის ცალკე საგნად სოციალური პოლიტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სოციალური პოლიტიკის საკითხებზე ყურადღება უფრო მეტად იყო გამახვილებული მაგისტრატურის საფეხურზე, სადაც ისინი ასწავლიან, გარემოს დაცვის პოლიტიკას, სოციალური პოლიტიკას და ა.შ. მათი აზრით, საგნის ამ სახით დავიწროება უფრო მეტად სამაგისტრო საფეხურზე იყო მიზანშეწონილი. ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ საკითხის ასე დაყენება გამართლებული არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ აღნიშნული არ იყო რეგულირებადი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბაკალავრიატის აპრიორი მაგისტრატურის საფეხურზე გადასვლას და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა პროგრამას საბაკალავრო საფეხურზე დაეფარა ყველა მნიშვნელოვანი თემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხები საბაკალავრო საფეხურზე ისწავლებოდა.

სხდომაზე 18:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 12

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს წევრების აზრით, ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და უარყოფითი შეფასებები წარმოადგენდა საკმაოდ სერიოზულ ხარვეზებს, რომელთა გამოუსწორებლობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა. ამასთან, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და ამდენად დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ის საკითხები რომლებიც უკვე გამოსწორებული იყო ან რომელთა გამოსწორებაც იგეგმებოდა, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში ვერ იქნებოდა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ საბჭოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გაითვალისწინოს ექსპერტთა უარყოფითი შეფასებები და უგულებელყოს მათ მიერ გაცემული დადებითი შეფასება და უარი უთხრას პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგიაში
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრს, გიორგი თურქიას ჰქონდა თვითაცილება, ვინაიდან იგი დაწესებულების თანამშრომელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვამდე საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული დაინტერესდა უნივერსიტეტის წესდებასთან დაკავშირებული საკითხით და აღნიშნა, რომ დაწესებულების წესდების მესამე თავში, რომელიც ითვალისწინებდა ინსტიტუტის მიზნებსა და საქმიანობებს, აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტი ამზადებდა პირებს სახელმწიფო მართვის საკითხებში და ანიჭებდა მათ სახელმწიფო მართვის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხს. მისი განცხადებით, წესდების თანახმად, უნივერსიტეტს უფლება არ ჰქონდა სტუდენტისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭებინა სტუდენტისთვის. ასევე, ლევან გორდუზიანმა განაცხადა, რომ მაგისტრის სამეცნიერო ხარისხიც არ იყო ხარისხის სწორი ინტერპრეტაცია, რადგან არსებობდა მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არა სამეცნიერო.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული იყო 2001 წლის წესდება, ვინაიდან წესდების შეცვლის საკითხი წყდებოდა უნივერსიტეტის ე.წ „ბორდის“ დონეზე და ამ უკანასკნელის წევრების უმეტესობა არ იმყოფებოდა საქართველოში, მათ ვერ მოახერხეს წესდების რადიკალური ცვლილება, მაგრამ აღნიშნულზე უკვე მიდიოდა მუშაობა და ეს ხარვეზი უახლოეს მომავალში გამოსწორდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ასევე, დამტკიცებული ჰქონდათ შინაგანაწესი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტებს.

ექსპერტის თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა ორ ძირითად საკითხს. პირველი ეს იყო კურსების მოცულობის საკითხი და მეორე პროგრამის ცვლილების კუთხით არსებული საკითხი.

ექსპერტის განცხადებით, აუცილებელი იყო პროგრამაში საბაზისო კურსების იმ რაოდენობით წარმოდგენა, რა რაოდენობითაც, კვალიფიკაციის ჩარჩო ითვალისწინებდა. ასევე იყო რეკომენდირებული ერთ-ერთი სასწავლო კურსის დამატებაც. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული საკითხები დაწესებულების მხრიდან გამოსწორდა და ყველა საკითხი ჩასწორებულ იქნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას პირველ დონეზე ჰქონდა ზოგადი დონის საგნები, შემდეგ საბაზისო საგნები და პროგრამა მიდიოდა უფრო ზოგადიდან კერძოსკენ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ექსპერტებს არ ეთანხმებოდნენ მხოლოდ იმ საკითხში, რაც ითვალისწინებდა ისეთი კურსების არჩევით საგნებში გადატანას, რაც პროგრამაში ძირითად მოდულში იყო გაწერილი, ეს კურსები იყო: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, ფსიქო-ლინგვისტიკა რომლებიც არის ინტერდისციპლინარული საგნები და აუცილებელი იყო დარგობრივად მათი სწავლება პროგრამის ძირითად ნაწილში.

საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ იკითხა, იყო თუ არა სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული პრერეკვიზიტები, რაზეც აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ სილაბუსებში აღნიშნული საკითხი იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა ირინა გოცირიძემ აღნიშნა, რომ ეს ჩანდა მხოლოდ სილაბუსებში და არა პროგრამაში.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, იყო თუ არა აუცილებელი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სოციოლოგიური კვლევების კომპონენტის იმ რაოდენობით წარმოდგენა, როგორც ეს აღნიშნულ შემთხვევაში ხდებოდა, რაზეც აკრედიტაციის ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს იყო რეკომენდაციის ნაწილი და ეს უკანასკნელი დაწესებულების მხრიდან შეიცვალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყო მისი იმგვარი ფორმულირება, რომ სტუდენტებს შესძლებოდათ ძირითადად ფსიქოლოგიის და მეორადად სოციოლოგიის არჩევა და აღნიშნული განაპირობებდა სოციოლოგიის კომპონენტის ამგვარ ჩართვას პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში პროგრამაზე განახორციელოს მონიტორინგი და შეისწავლოს გათვალისწინა თუ არა დაწესებულებამ საბჭოს/ექსპერტთა მითითებები.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ სხდომა დატოვა 19:05 საათზე.



4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავკასიამცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კავკასიამცოდნეობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კავკასიური კვლევების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თვითაცილება ჰქონდა საბჭოს 3 წევრს: გიორგი ქვარცხავას, ირინა გოცირიძეს და ელიზბარ ელიზბარაშვილს, რადგან ისინი დაწესებულების თანამშრომლები იყვნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტმა დაიწყო საუბარი დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესახებ. ექსპერტთა შეფასებით პროგრამაში აუცილებელი იყო:

1) თანამედროვე და დარგის საუკეთესო ლიტერატურად აღიარებული საკითხავი მასალების მითითება და აქტიური გამოყენება სასწავლო კურსებში;

2) ინგლისურენოვანი/უცხო ენოვანი ლიტერატურის მოცულობის გაზრდა საკითხავ ლიტერატურაში ან დამატებით საკითხავ მასალაში მაინც. მით უმეტეს, რომ სამაგისტრო პროგრამაში B2 დონეზე უცხო ენის ცოდნა სტუდენტისთვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა და ეს უნარი გამოყენებული უნდა ყოფილიყო სწავლების პროცესში. ასევე, ლიტერატურა გაჯერებული იყო ქართულენოვანი მასალის სიმრავლით და შესაბამისად, გაუგებარი გახლდათ რა ფუნქციას ასრულებდა პროგრამისთვის უცხო ენის ცოდნა.

3) პროგრამაში სავალდებულო საგნად დამატებულიყო სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების კურსი, რათა სტუდენტებს შეძლებოდათ გეგება თუ რა იყო ჰიპოთეზა, როგორ უნდა შერჩეულიყო საკვლევი კითხვა, ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ა.შ. ანუ სტუდენტს შეეძინა ის საბაზისო ცოდნა, რაც კვლევითი მუშაობისთვის იყო საჭირო და შეძლებოდა კვლევითი კომპონენტის წარმატებით დამლევა.

4) სასწავლო ლიტერატურის განახლება. თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურით და არა მარტო რუსულენოვანი მასალის ჩართვა სასწავლო პროცესში და ასახვა სილაბუსებში. პირველადი წყაროების აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესში და ასახვა სილაბუსებში.

5) კონკრეტული სასწავლო კურსების მიზნების შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და შედეგების განსაზღვრა.

6) ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენება.

7) არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა.

8) უფრო რეალისტური გამხდარიყო საათობრივი დატვირთვის გადანაწილებისა და სტუდენტის დამოუკიდებლად მუშაობის სქემა და ერთ სტანდარტულ შაბლონს არ დაქვემდებარებოდა იგი. 87 საათი სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის ძალიან ბევრი იყო, სტუდენტს ზოგიერთი საგნის ათვისებისთვის შესაძლოა პროფესორთან კონტაქტის უფრო მეტი დრო დასჭირებოდა.

9) სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სასწავლო პროგრამის თითოეულ სილაბუსში უნდა ყოფილიყო მითითებული ლექტორთან შეხვედრის/ ინდივიდუალური მუშაობისთვის გამოყოფილი კონკრეტული დრო.

10) საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ითვალისწინებდნენ არსებულ რეკომენდაციებს და ეთანხმებოდნენ ძირითად მათგანს. ერთადერთი პასუხი, რაც მათ გააჩნდათ ექსპერტებთან მიმართებაში, იყო ლიტერატურის საკითხთან დაკავშირებით, რადგან მათი აზრით, ამ პროგრამაში შემავალი საგნების ძირითადი ლიტერატურა უნდა ყოფილიყო ან ქართული, ან ორიგინალი მასალის შესაბამისად.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, არსებობდა თუ არა პროგრამის საბაკალავრო საფეხურის პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მზაობის მიუხედავად, ამჟამად ანალოგიური საბაკალავრო საფეხურის პროგრამა არ არსებობდა უნივერსიტეტში.

გელა გელაშვილი ასევე დაინტერესდა, რა ხარისხი მიენიჭებოდა კურსდამთავრებულს აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვალიფიკაცია იქნებოდა - კავკასიური კვლევების მაგისტრი.

ასევე, საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა, ისწავლებოდა თუ არა პროგრამაზე რომელიმე კავკასიური ენა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ენის წავლება რელევანტური იყო უფრო მეტად საბაკალავრო საფეხურზე და მაგისტრატურაზე დროის სიმცირის გამო ენის შესწავლის შესაძლებლობა არ არსებობდა. აღნიშნული პროგრამის მიზანი, კავკასიის რეგიონის სპეციფიკის შესწავლა წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ იკითხა, რა იყო მაგისტრატურაზე მიღების წინაპირობა, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინაპირობას წარმოადგენდა ბაკალავრის დიპლომი, უცხო ენის მინიმუმ B2 დონეზე ფლობა და ტესტირება.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია ასევე დაინტერესდა, რა დატვირთვით ისწავლებოდა რუსული ენა პროგრამაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში რუსულს ექნებოდა დიდი ადგილი, რაც ლიტერატურის წარმოდგენით იყო განპირობებული. ასევე, გასაუბრებაზე რუსულის სეგმენტს მიეძღვნა დიდი ყურადღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენდა არაქართულენოვანი სტუდენტების მოზიდვა. მათი განცხადებით, ისინი იყვნენ სახელმწიფო „1+4“ პროგრამაში ჩართულნი, რომლის ფარგლებშიც სწავლების პირველ წელს სტუდენტი სწავლობდა ქართულ ენას და შემდგომ იწყებდა საბაკალავრო საფეხურზე სწავლას, შესაბამისად ენის კომპონენტის პრობლემა იმ მომენტისთვის აღარ იარსებებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა იკითხა როგორ იყო სამაგისტრო ნაშრომი, თანამედროვე კვლევის მეთოდები ან აკადემიური წერა პროგრამაში ინკორპორირებული და

რომელ კურსებს სთავაზობდა პროგრამა სტუდენტებს აკადემიური წერის სტანდარტების შესასწავლად.

მეორე კითხვა მდგომარეობდა იმაში, ჰქონდა თუ არა პროგრამის ხელმძღვანელობას გამოკვლეული დასაქმების ბაზარზე არსებული სიტუაცია კონკრეტულ დარგში და იყო თუ არა დამსაქმებელი ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სოციალური კვლევის მეთოდების დამატება გათვალისწინებული იყო პროგრამაში.

ასევე, მათი თქმით, მათ ჰქონდათ ბაზრის კვლევა და ასევე პროგრამაში ჩართული იყო დამსაქმებელიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავკასიამცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე:3

წინააღმდეგი: 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავკასიამცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭოს წევრების აზრით, ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები და უარყოფითი შეფასებები წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ ხარვეზს, რომელთა გამოუსწორებლობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებას სერიოზული საფრთხე შეექმნება. ამასთან, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გაითვალისწინოს ექსპერტთა უარყოფითი შეფასებები და უგულებელყოს მათ მიერ გაცემული დადებითი შეფასება და უარი უთხრას პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

5. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამკურნალო საქმე
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით:

1) პროგრამის ამოცანები და მიზნები აქცენტირებას ახდენდა თეორიულ ცოდნაზე. პროგრამის მიზანში მკაფიოდ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული კლინიკური უნარების განვითარების შეფასების სათანადო მეთოდები;

2) უნდა მომხდარიყო პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების ხელახლა განსაზღვრა, რათა ისინი შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან;

3) აუცილებელი იყო პერსონალის დატრენინგება სწავლის შედეგების მნიშვნელობის, ფუნქციისა და მიღწევების შეფასების შესახებ

4) რეკომენდირებული იყო კლინიკური/პრაქტიკული უნარების შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაცია (მაგ. OSCE)

5) უნივერსიტეტს უნდა დაეძირა ევროპაში უფრო მეტი აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყო პროგრამის წარმატებით განხორციელება.

6) პერსონალს სჭირდებოდა ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავებისა და თვით-შეფასების ანგარიშის მომზადების კუთხით.

7) პედაგოგებს სჭირდებოდათ ფორმალური განათლება სწავლების მეთოდოლოგიაში, რომელიც ორგანიზებული იქნებოდა უნივერსიტეტის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა იკითხა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები, როდესაც საუბრობდნენ პედაგოგისთვის მეთოდოლოგიაში ჩასატარებელ ტრენინგზე და ხომ არ დგებოდა ამ დროს აკადემიური პერსონალის სანდოობის საკითხი.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა იკითხა თვლიდნენ თუ არა ისინი იმას, რომ არსებული რაოდენობის აკადემიური პერსონალით პროგრამა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწევდა.

დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ პროგრამა მიზანს მიაღწევდა, თუმცა პერსონალის დამატება საჭირო იყო.

19:28 საათზე სკაიპის საშუალებით ჩაერთო აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც საბჭოს მოახსენა პროგრამის შეფასებისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები. ცენტრის თანამშრომელმა მაია გელაშვილმა უზრუნველყო საერთაშორისო ექსპერტის საუბრის ქართულ ენაზე თარგმანი.

საერთაშორისო ექსპერტის განცხადებით, შესაძლებელი იყო პროგრამა დაწყებულიყო, თუმცა საჭირო იყო რამდენიმე საკითხის გამოსწორება, მაგალითად საკმაოდ სუსტი იყო ლაბორატორიული მდგომარეობა.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ ჰკითხა საერთაშორისო ექსპერტს, რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული ლაბორატორიით პროგრამის პრაქტიკულ შედეგზე გასვლა. საერთაშორისო ექსპერტის განცხადებით, ლაბორატორიაში სწავლების ჩატარება შესაძლებელი იყო, თუმცა არა მაღალ დონეზე. მისი აზრით, აუცილებელი იყო აღნიშნული პრობლემა გამოსწორებულიყო, მაშინ როდესაც უნივერსიტეტის შენობა და ელექტრონული მოწყობილობა ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ლაბორატორიული მედიცინის, როგორც ცალკე კურსის გამოტანა, აუცილებელი არ არის სამედიცინო სკოლებისთვის და შეიძლება ინტეგრირებული იქნეს სხვა საგნებთან. ამავდროულად დიპლომამდელი სამედიცინო განთლების მედიცინის პროგრამაში სავალდებულო კურსს წარმოადგენს გერიატრია, რომელიც აღნიშნულ პროგრამაში არ იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, აღნიშნული კურსი ევროპულ და ამერიკულ სივრცეში ითვლებოდა სავალდებულო საგნად და მისი ჩასმა პროგრამაში აუცილებელი იყო.

მეორე შეკითხვა მდგომარეობდა საგნების ინგლისურ ენაზე არასწორ დასახელებას, მაგალითად: „Private histology“, „Private physiology“, „Particular pharmacology“.

გაიანე სიმონიამ ჰკითხა საერთაშორისო ექსპერტს, რატომ არ იყო დაფიქსირებული ექსპერტთა დასკვნაში ის ფაქტი, რომ პროგრამის რამდენიმე სილაბუსი საკმაოდ სუსტი ინგლისურით იყო შედგენილი და გამოსწორებას საჭიროებდა. საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ ენასთან დაკავშირებული პრობლემა არ ყოფილა სერიოზული და ეს უკანასკნელი საკმაოდ გასაგები იყო.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ, გამოთქვა მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაში. მისი თქმით, საჭირო იყო სერიოზული ყურადღება დათმობოდა პროგრამაში არსებულ ხარვეზებს, რადგან მას უახლოეს მომავალში მოუწევდა საერთაშორისო აკრედიტაციის გავლა. ამასთან 2019 წლიდან ძალაში შედიოდა მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც შემუშავებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს პროგრამის ინტეგრაციას, შეფასების ადეკვატურობას. ასევე, მისი აზრით აუცილებელი იყო თითოეულ კურსსა და კომპონენტს დაფიქსირებული ჰქონოდა სწავლების კომპეტენციები, შედეგები და შეფასების სისტემა.

გაიანე სიმონიას შემდეგი შენიშვნა ეხებოდა შეფასების ადეკვატურობას. გაიანე სიმონიას განცხადებით, არც ერთი კლინიკური უნარი არ შეიძლებოდა შეფასებულიყო ზეპირი, ტესტური და დისკუსიის მეთოდებით, რადგან კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება არის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE). მისი აზრით,

პროგრამაში დიდი წილი ჰქონდა ფუნდამენტურ საგნებს, როგორცაა ფიზიკა, ქიმია ა.შ. შეიძლება აღნიშნული საგნები გამხდარიყო არჩევითი.

საბჭოს წევრის გაიანე სიმონიას განცხადებით, აუცილებელი იყო აკადემიური პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რადგანაც ამჟამად სამედიცინო განათლებაში სწავლების, სწავლის და შეფასების საკმაოდ მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენებოდა სტუდენტების კომპეტენციის ზედმიწევნით შეფასებისთვის.

გარდა ამისა, მისი განცხადებით, თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში ლათინური ენა პრაქტიკულად აღარ იხმარებოდა (ზოგადად მედიცინის ენა ინგლისური გახდა), შესაბამისად, ლათინური ენის სწავლება რეკომენდირებული იყო გადასულიყო არჩევითი საგნების ნაწილში.

გაიანე სიმონიამ იკითხა, რატომ იყო შინაგანი მედიცინა დაშლილი სპეციალობებად პროგრამაში, როგორც კარდიოლოგია, პულმონოლოგია და სხვ. მისი განცხადებით, პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ სწავლების მეოთხე კურსზე სტუდენტს შეეძლებოდა კარდიოლოგიის იმ დონეზე ცოდა, რაც მოეთხოვება დიპლომისშემდგომი სწავლების ეტაპზე რეზიდენტებს კარდიოლოგიის სპეციალობით (რისთვისაც გამოყენებულია ბრაუნვალდის სახელმძღვანელო).

გარდა ამისა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიერ შემოთავაზებული ე.წ. Subject based curriculum იყო ძველი სტილის და აუცილებლობას წარმოადგენდა მისი ცვლილება და საგნების ინტეგრაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დარგობრივი დოკუმენტი, რომელზეც გაიანე სიმონიამ ისაუბრა, ერთი კვირის წინ იყო დამტკიცებული და პროგრამის შემუშავების დროს მისი გათვალისწინება ვერ მოხერხდებოდა. ასევე, მისი თქმით, უნივერსიტეტის მზაობას წარმოადგენდა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფილიყვნენ, რაზეც მუშაობა დაწყებული იყო. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა რესურსი, გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები და გადასულიყო ახალ სტანდარტებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამკურნალო საქმის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ პროგრამაზე განახორციელოს მონიტორინგი და შეისწავლოს, მოახდენს თუ არა დაწესებულება 2019 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე პროგრამის მედიცინის ახალ დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას და სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებების გამოსწორებას.

6. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მედიცინა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტის განცხადებით, სწავლის მიზანი და შედეგები უკეთ უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგებთან. ამისთვის, უნდა მომხდარიყო სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი განსაზღვრა და მათი ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამასთან, უნივერსიტეტს მკაფიოდ უნდა განესაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოები და სტრუქტურა; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სტრატეგია, პროცედურები და მარეგულირებელი დოკუმენტაცია, გაეხადა ისინი საჯარო და ხელმისაწვდომი.

ასევე, სტუდენტები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყვნენ პროგრამის მართვისა და განვითარების/შეფასების სტრუქტურულ ერთეულებში.

დამსაქმებლების წარმომადგენელს აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო აკადემიური საბჭოს შეხვედრებში.

ექსპერტთა აზრით, უნივერსიტეტს უნდა შეემუშავებინა უცხოელი სტუდენტების მისაღები გამოცდების სისტემა და განესაზღვრა მათი კომპეტენციის დონე.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკების დახვეწა და მათი სასწავლო პროცედურების შესაბამისად მწყობრში მოყვანა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლის მიზნების და შედეგის შესაბამისობა გასავითარებელი იყო და ეს უკანასკნელი აუცილებლად მოხდებოდა.

რაც შეეხება შენიშვნას ხარისხის სამსახურების განვითარებასთან დაკავშირებით, მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი არ არის დიდი მასშტაბის, მას მხოლოდ ერთი ფაკულტეტი და ერთი ხარისხის სამსახური ჰყავდა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მიღებდა აკრედიტაციას, ამ უკანასკნელის განვითარებაც გარდაუვალი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ ისაუბრა სასწავლო კურიკულუმის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი დარგობრივ მახასიათებელთან, რომელიც საკმაოდ დეტალიზებულია და შედგენილია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების მიხედვით. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ პროგრამის პრობლემა იყო ის რომ იგი აგებული იყო დისციპლინებზე, არ არის ინტეგრირებული, ის მოიცავს ისეთ საგნებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იყო შემოღებული (მაგალითად, ოპერაციული ქირურგია და ტოპოგრაფიული ანატომია).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, აკრედიტაციის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ პროგრამაზე განახორციელოს მონიტორინგი და შეისწავლოს, მოახდენს თუ არა დაწესებულება 2019 წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე პროგრამის მედიცინის ახალ დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას და სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებების გამოსწორებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 20:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ირაკლი ბურდული

მდივანი:

გიორგი ოდოშაშვილი